საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ლ. ჯ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.01.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 003/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. კ.-ის /სიითი №/, დისციპლინურ საქმეში №--- პირველი დისციპლინური კოლეგიის ალტერნატიული წევრის მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო პირველი დისციპლინური კოლეგის წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 23 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით მომართა ადვოკატმა ლ. ჯ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ა. კ.-ისთვის (დისციპლინურ საქმეში №--- პირველი დისციპლინური კოლეგიის ალტერნატიული წევრი) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ადვოკატ ლ. ჯ.-ს განცხადებით, ეთიკის კომისია აწარმოებდა დისციპლინურ საქმეს №---, ფ. შ.-ის საჩივრის საფუძველზე, მის მიმართ. აღნიშნულ საქმეს იხილავდა პირველი საპროცესო კოლეგია, ალტერნატიული წევრის - ა. კ.-ის მონაწილეობით. ადვოკატის პოზიციით, მას ა. კ. არასდროს ყავს სასამართლოში ნანახი და არ სმენია მის მიერ წარმატებით ნაწარმოებ

საქმეზე; ასევე, ეჭვი შეაქვს ა. კ.-ის სამართლებრივ არგუმენტირებულ მსჯელობაში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ა. კ. არის დ. ა.-ის გუნდის წევრი და ელექტრონული არჩევნების გზით მოხვდა ეთიკის კომისიაში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემულ საქმეზე მოპასუხეები ცდილობდნენ მის საადვოკატო საქმიანობაზე ზეწოლას, ასევე, მის მიმართ გააჟღერეს სიცოცხლის მოსპობის მუქარა და ეთიკის კომისიის წევრები ამას ეთანხმებოდნენ - დუმილით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ა. კ.-მა სხდომის მიმდინარეობისას, 31:16 წთ-ზე მიმართა მხარეს: „თქვენ როგორც ისაუბრეთ ბატონმა ლ.-მ თქვენს მიმართ გაავრცელა ისეთი ინფორმაცია, რაც თქვენს რეპუტაციას და გარკვეული ასე ვთქვათ საფრთხე შეუქმნა დღეის მდგომარეობით როგორ არის ანუ ამ ადამიანმა რაიმე სახის ზიანი მოგაყენათ? ისეთი რეპუტაციული რომ ვთქვათ სხვა ადამიანების წინაშე მოგიწიათ ახსნა-განმარტებები რომ ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს რასაც ეს ადამიანი ავრცელებდა თუ როგორც თქვენ საუბრობთ ყველამ იცის ეს ადამიანი როგორია და შესაბამისად ამ ადამიანის ნათქვამს არ აღიქვამენ სერიოზულად?“. ა. კ.-მა ამ ქცევით შელახა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის და ადვოკატთა კორპუსის კეთილსაიმედოობა, ავტორიტეტი და ის არ იმსახურებს ეთიკის კომისიის წევრობას. საჩივრის ავტორი ითხოვს, ადვოკატ ა. კ.-ს შეუწყდეს ასოციაციის წევრობა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ეთიკის კომისია არ მიიღებს ა. კ.-ის ადვოკატთა რიგებიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას, ის კომისიის წევრებს სასამართლოში უჩივლებს დისკრიმინაციულ მოპყრობაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

2. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის პირველი დისციპლინური კოლეგიის ალტერნატიული წევრის ა. კ.-ის მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

3. სამართლებრივი შეფასება:

3.1 ადვოკატ ლ. ჯ.-ს საჩივრის სრულად გამოკვლევისათვის ეთიკის კომისიამ შეისწავლა საქმის მასალები და აზუსტებს, რომ საჩივრის ავტორ ადვოკატს ტექნიკური შეცდომა აქვს დაშვებული - საქმეზე სადაც მხარეები არიან ფ. შ. - ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ, დისციპლინური საქმის ნომერია №---. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ გამოიკვლია ის სხდომის ოქმი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის ავტორის პრეტენზია (2022 წლის 1 აგვისტოს გასაუბრება საჩივრის ავტორ - ფ. შ.-სთან).

3.2 ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ შემადგენლობით: ე. გ., ე. მ., ა. კ. განიხილა ფ. შ.-ის 2022 წლის 12 ივლისის №--- საჩივარი ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ. ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ 2022 წლის 01 აგვისტოს დისტანციურად,

ელექტრონული კომუნიკაციის - ZOOM-ის მეშვეობით გამოკითხა საჩივრის ავტორი, ფ. შ. ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ისარგებლა მოპასუხე ადვოკატის უფლებით და გაეცნო საჩივრის ავტორთან გასაუბრების აუდიო ჩანაწერს, რომელიც მას ჩაბარდა 2022 წლის სექტემბერში, ხოლო 2023 წლის იანვარში მომართა ეთიკის კომისიას წევრის მიმართ პრეტენზიით. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ. ჯ.-ს პრეტენზიები ეხება პირველი დისციპლინური კოლეგიის მიერ სამუშაო პროცესში, დისციპლინური საქმის განხილვისას, კონკრეტულად - ეთიკის კომისიის 2022 წლის 01 აგვისტოს სხდომაზე განხორციელებულ მოქმედებებს: კოლეგიის წევრის ა. კ.-ის მიერ მხარის - ფ. შ.-სთვის დასმული შეკითხვის შინაარსს. ამ დისციპლინურ საქმეში ლ. ჯ. წარმოადგენს მოპასუხე ადვოკატს. საჩივრის ავტორის პრეტენზიები უკავშირდება კომისიის წევრის მიერ - ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელებას;

3.3 ეთიკის კომისია, როგორც სასამართლოს მსგავსი ორგანო, არსებით როლს ასრულებს ადვოკატის პროფესიის გაძლიერებისა და პროფესიის სტანდარტების დადგენაში. რაც ვლინდება დისციპლინურ წარმოებაში. კერძოდ, ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატის შესახებ შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტი).

3.4 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულების 27-ე მუხლის თანახმად, საპროცესო კოლეგია დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში შეისწავლის საჩივარს თანდართული მასალებით, მხარეებს ჩამოართმევს წერილობით ახსნა-განმარტებებს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, განიხილავს მხარეების შუამდგომლობებს, შეისწავლის წარმოდგენილ მტკიცებულებებს და იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე. ამავე დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისია შედგება ხუთი დისციპლინური კოლეგიისგან. ყოველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში არის ეთიკის კომისიის სამი წევრი“. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად“. კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა საერთო კრების მიერ არჩეული კომისიის წევრები საქმის გამოკვლევის პროცესში არიან დამოუკიდებელნი და შეკითხვებს სვამენ საქმეზე სრული ინფორმაციის მისაღებად. ეთიკის კომისიის რომელიმე კოლეგია არ არის უფლებამოსილი შეაფასოს სხვა კოლეგიისა თუ კოლეგიის წევრის საქმიანობა; ამასთან, ადვოკატი ლ. ჯ. კოლეგიას შესაფასებლად აწვდის არასწორ ინფორმაციას - 2022 წლის 01 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, მხარის მიერ არ გაჟღერებულა ადვოკატის სიცოცხლის მოსპობის მუქარა.

3.5 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. კოლეგია პირველი დისციპლინური კოლეგიის ალტერნატიული წევრის მიმართ წყვეტს დისციპლინურ წარმოებას, ვინაიდან ადვოკატ ლ. ჯ.-ს პრეტენზია უკავშირდება ადვოკატ ა. კ.-ის, როგორც ეთიკის კომისიის წევრის,

ადვოკატთა კორპუსის მიმართ ნაკისრი პროფესიული ვალდებულების შესრულების პროცესს.

3.6 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 27-ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №003/23 ა. კ.-ის, დისციპლინურ საქმეში №--- პირველი დისციპლინური კოლეგიის ალტერნატიული წევრის მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/